რეკომენდაციები ზოგადი განათლების სახელმწიფო ინდიკატორების შემუშავებისათვის

2022 წელი

რეკომენდაციები ზოგადი განათლების სახელმწიფო ინდიკატორების შემუშავებისათვის

მომზადებულია განათლების კოალიციის მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა
და შვედეთის მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები
ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამის
და შვედეთის თვალსაზრისს.

EFA
განათლების
კოალიცია

შვედეთი
Sverige

UNDP

რეკომენდაციები ზოგადი განათლების სახელმწიფო ინდიკატორების შემუშავებისათვის განათლების კოალიციის კოორდინაციით 2022 წელს მომზადდა. იგი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ზოგადი განათლების სისტემის ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის განვითარებას და ამ მიზნით, წარმოაჩენს შეფასების თეორიულ ჩარჩოს და საკვანძო ინდიკატორების პირველად ჩამონათვალს.

საქმიანობა განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან პარტნიორობით გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მიერ დაფინანსებული „ზოგადი განათლების სისტემის გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში.

1 შესავალი

ზოგადი განათლების სისტემის სახელმწიფო ინდიკატორები განათლების კოალიციის კოორდინაციით 2022 წელს შემუშავდა. იგი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ზოგადი განათლების სისტემის ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის განვითარებას და, ამ მიზნით, წარმოაჩენს შეფასების თეორიულ ჩარჩოს და საკვანძო ინდიკატორების პირველად ჩამონათვალს.

საქმიანობა განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან პარტნიორობით UNDP-ის მიერ დაფინანსებული „ზოგადი განათლების სისტემის გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში.

განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია (2022-2030)[1] მიზნად ისახავს განათლების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და სისტემის მართვის გაუმჯობესებას. საკვანძო იდეას ამ პროცესში სკოლის (როგორც ცვლილებების მამოძრავებელი მთავარი ორგანიზაციული აქტორის) როლის გაზრდა წარმოადგენს. სტრატეგიით გათვალისწინებული ამ ცვლილებების მასშტაბი (ჩართული აქტორების რაოდენობა) და სიღრმე (გავლენა სისტემის სტრუქტურაზე, განხორციელების სირთულე) რეფორმის წარმატებისათვის სამ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოქმნის:

- ჩართულ მხარეებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება;
- სისტემის განვითარების მიზნების უკეთ ახსნა საზოგადოებისათვის და ჩართული მხარეებისთვის;
- რეფორმის განხორციელების ხარვეზებისა და საფრთხეების დროული აღმოჩენა და მათზე რეაგირება.

ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის შეგროვების, მიმოცვლისა და ანალიზის მექანიზმების განვითარება, როგორც სისტემის, ისე სკოლის დონეზე. მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფა ბოლო ათწლეულის განმავლობაში ზოგადი განათლების მართვის ძირითად გამოწვევად რჩება[2] და მოქმედი სტრატეგიის ერთ-ერთ სექტორულ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ადგილობრივი სექტორული პრიორიტეტი აგრეთვე ითვალისწინებს საერთაშორისო ქსელურ ინიციატივებს განათლების სისტემების მონიტორინგისა და შეფასების სრულყოფის მიმართულებით, რაც მდგრადი განვითარების, პანდემიით გამოწვეული კრიზისისა და სხვა გლობალური გამოწვევების დაძლევას ემსახურება.

[1] განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2022). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5557675?publication=0

[2] World Bank. (2013a). Georgia Trade Competitiveness Diagnostic, (2014). Georgia 2020 Innovation Strategy. Washington, D.C.; 44.
Mizunoya, S. and Mishra, S., (2020). Georgia: Education Fact Sheets |2020 Analyses for learning and equity using MICS data. UNICEF Georgia.

2 მუშაობის პროცესი და მეთოდოლოგია

ზოგადი განათლების სახელმწიფო ინდიკატორების შემუშავების პროცესში განათლების კოალიციის მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო:

- საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების ინტეგრირება და მათზე დაფუძნებით შეფასების რელევანტური ინდიკატორების შემუშავება;
- პროცესის ყველა ეტაპზე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი უკუკავშირისა და განსხვავებული პერსპექტივების განხილვისათვის პროფესიული სივრცის შექმნა.

აღნიშნულის გათვალისწინებით პროცესი 3 ძირითად ეტაპად წარიმართა:

მოსამზადებელი სამუშაოები: ამ ეტაპზე სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა ზოგადი განათლების სისტემის მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და შეფასების საერთაშორისო და ადგილობრივი ჩარჩო დოკუმენტები. ამავე ეტაპზე სამუშაო ჯგუფმა შეადგინა ექსპერტთა და დაინტერესებულ მხარეთა ნუსხა და უზრუნველყო ყველა ძირითადი პარტნიორის ინფორმირება და სამუშაო პროცესში მიზნობრივად შერჩეული ექსპერტების მოწვევა. პანელის წევრად შეირჩა 14 ექსპერტი, მათ შორის მასწავლებლები, პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები, განათლების ექსპერტები, მკვლევრები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი სექტორების წარმომადგენლები.

ინდიკატორების შემუშავება: საერთაშორისო მეთოდოლოგიის გაცნობისა და ადგილობრივი გამოცდილების ანალიზის შედეგად, სამუშაო ჯგუფმა მოამზადა ზოგადი განათლების სახელმწიფო ინდიკატორების კონცეფცია, რომელიც ეყრდნობოდა, ერთი მხრივ, ორგანიზაციების ფუნქციონირების სისტემური მოდელს - „კონტექსტი - რესურსი- პროცესი - შედეგი“ (Context-Input-Process-Output/CIPO) და მეორე მხრივ, ორგანიზებული იყო მსოფლიო ბანკის დიაგნოსტიკური ინსტრუმენტის (SABER) მოდელის გათვალისწინებით. 52 ინდიკატორი განაწილებული იყო 3 დონეზე, 16 ქვეკატეგორიაში. თითოეული ინდიკატორისთვის მოცემული იყო ასევე, მისი ანალიზის ჭრილები, ხოლო ინდექსის შემთხვევაში, შემადგენელი კომპონენტები.

განხილვები ექსპერტთა პანელთან: სულ ჩატარდა ექსპერტული პანელის განხილვის 3 რაუნდი.

ექსპერტთა პანელის მუშაობა ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა - პირველ რიგში, დაიხვეწა ინდიკატორების წარდგენის ზოგადი კონცეპტუალური მოდელი, ხოლო შემდგომ ეტაპზე დაზუსტდა ინდიკატორების ჩამონათვალი და შინაარსი.

ასევე, ინდიკატორების ნუსხაში ინტეგრირდა დამატებითი „ინდექსები“, რომლებიც, რამდენიმე ინდიკატორის ერთობლიობაში გამოყენებით, ცალკეული განზომილების შესახებ უფრო კომპლექსური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას ქმნის.

ზოგადი განათლების შეფასების სახელმწიფო ინდიკატორების ერთიანი სისტემის კონცეფცია განათლების ექსპერტებისა და განათლების სისტემის შედეგებით დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა დისკუსიის შედეგია. კონცეფცია აერთიანებს დისკუსიის მონაწილეთა მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ინდიკატორების სისტემის ზოგადი მიზნები, სტრუქტურა და მთავარი აქცენტები.

ინდიკატორების სისტემის განზომილებების და საბოლოო ჩამონათვალის დამტკიცების შემდეგ, უნდა შემუშავდეს თითოეული ინდიკატორის პასპორტი, რომელშიც დაზუსტდება: ინდიკატორის ზუსტი დასახელება, გაზომვის მეთოდოლოგია, შესაბამისი ნიშნულები, მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი უწყებები, მონაცემების განახლების სიხშირე და შედეგების კომუნიკაციის გეგმა.

[3] Scheerens, J. (1990). School Effectiveness and the Development of Process Indicators of School Functioning. School Effectiveness and School Improvement, 1, 61-80. doi: 10.1080/0924345900010106;
Scheerens, J. (2015). School Effectiveness Research. International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences, 21, 80-85. doi: 10.1016/B978-0-08-097086-8.92080-4

3 ზოგადი განათლების სახელმწიფო ინდიკატორების ერთიანი სისტემის მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სახელმწიფო ინდიკატორების ერთიანი სისტემის მიზანია:

- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და კოორდინირებული პოლიტიკის წარმოების ხელშეწყობა;
- საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ზოგადი განათლების სისტემის ხარისხისა და განვითარების ტენდენციების შესახებ.

ამ მიზნების მიღწევის კონტექსტში ინდიკატორების სისტემა ხელს შეუწყობს:

- სისტემის შეფასების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავებას;
- განათლების სექტორში მიმდინარე რეფორმების სინქრონიზებას და კოორდინაციას გარე და შიდა დაინტერესებულ მხარეებთან;

სისტემის ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის მექანიზმების სრულყოფას.

4 ზოგადი განათლების სახელმწიფო ინდიკატორების ერთიანი სისტემის კონცეპტუალური ჩარჩო და სტრუქტურა

ინდიკატორების კონცეფცია ზოგადი განათლების სისტემის ხარისხის შესახებ ინფორმაციას ორი ძირითადი პერსპექტივით - ღირებულებით და ფუნქციურ ჭრილში წარმოგვიდგენს:

- **ღირებულებითი ჭრილი** შესაძლებლობას გვაძლევს აღვწეროთ სისტემა ხუთი ღირებულების მიხედვით: ხარჯთეფექტურობა, კეთილდღეობა, თანასწორობა, დემოკრატიულობა და განვითარებადობა. ეს ღირებულებები ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში სისტემის ფუნქციონირების მთავარ, გამჭოლ პრინციპებად მოიაზრება; ასევე, ისინი ასახულია განათლების ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტში.

- **ფუნქციური ჭრილი აღწერს** სისტემას სამი ურთიერთდამოკიდებული განზომილების მიხედვით: ა) ზოგადი განათლების პოლიტიკა და რესურსები; ბ) სკოლის მართვა/სასწავლო-პროცესის ორგანიზება და გ) ზოგადი განათლების სისტემის შედეგები. ამ ფუნქციური მოდელის ცენტრს სკოლა და მასში მიმდინარე პროცესები წარმოადგენს, სადაც სისტემის რესურსები გარდაიქმნება სისტემის შედეგებად.

ორი ჭრილის არსებობის გათვალისწინებით, ზოგადი განათლების სახელმწიფო ინდიკატორების ერთიან სისტემას მატრიცის სახე აქვს. ღირებულებითი და ფუნქციური ჭრილების განზომილებები ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ღერძებზეა მოცემული, ხოლო ინდიკატორები - მათ გადაკვეთაზე.

ინდიკატორების სტრუქტურის ამგვარად ორგანიზება უფრო მოქნილს ხდის ინდიკატორების გამოყენებას. მაგალითად, პოლიტიკის კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე, სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობა და მიმდინარე პროგრესი შეიძლება აღიწეროს ერთი ღირებულების (მაგალითად, თანასწორობა) ან ფუნქციური კატეგორიის (მაგალითად, სკოლის მართვა) ჭრილში.

ღირებულებითი ჭრილი და მისი განზომილებები:

ინდიკატორების ერთიან სისტემაში ღირებულებითი ჭრილის შემოტანა ხაზს უსვამს ზოგადი განათლების სისტემის საკვანძო პრინციპების მნიშვნელობას, რასაც უნდა ეფუძნებოდეს სისტემის ფუნქციონირება, როგორც ეს არის მითითებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების გადახედვის დოკუმენტში.

ასევე, ღირებულებითი ჭრილის შემოტანამ შესაძლოა გაამარტივოს ზოგადი განათლების სისტემის მიზნების და შედეგების სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან კომუნიკაცია, გააფართოოს რეფორმის შედეგების შესახებ დისკუსიაში ჩართული მხარეების რიცხვი და გაზარდოს ამ დისკუსიის ხარისხი.

- ხარჯთეფექტურობის განზომილება გვიჩვენებს, თუ როგორ გამოიყენება სისტემის შესაძლებლობები დასახული შედეგების მისაღწევად;
- კეთილდღეობის განზომილება გვიჩვენებს, რამდენად კმაყოფილნი არიან მოსწავლეები და მასწავლებლები სისტემის შესაძლებლობებითა და შედეგებით;
- თანასწორობის განზომილება აღწერს სისტემის შესაძლებლობებისა და შედეგების განაწილების სტრუქტურას;
- დემოკრატიულობის განზომილება გვიჩვენებს, თუ როგორ არიან ჩართულნი მნიშვნელოვანი აქტორები სკოლის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რამდენად ღია და დამოუკიდებელია სკოლა ამ გადაწყვეტილებების მიღების, განხორციელების და შეფასებისას;
- განვითარებადობის განზომილება დინამიკაში წარმოგვიდგენს სისტემის შესაძლებლობებისა და შედეგების განვითარებას.

ფუნქციური ჭრილი და მისი განზომილებები:

ფუნქციური ჭრილის კონცეპტუალურ საფუძველს წარმოადგენს ე.წ. სისტემური მოდელი - „კონტექსტი - რესურსი - პროცესი - შედეგი“ (Context-Input-Process-Output/CIPO)[4]. მოდელი ადაპტირებული ფორმით გამოიყენება განათლების მონიტორინგის საერთაშორისო და გლობალური სისტემებისთვის.[5] მოდელი სკოლას მოიაზრებს სისტემის საკვანძო რგოლად არსებული რესურსების, წინაპირობებისა და შესაძლებლობების გარდაქმნისათვის საგანმანათლებლო პროდუქტად და შედეგად.

საქართველოს კონტექსტის, შეფასებისა და მონიტორინგის ეროვნული და საერთაშორისო სისტემების გამოცდილების გათვალისწინებით, ფუნქციური ჭრილი სამ განზომილებას მოიცავს:

- ზოგადი განათლების პოლიტიკა და წინაპირობების განზომილება აღწერს სკოლების განვითარებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი რესურსის მოცულობას, ხარისხსა და განაწილებას (მაგალითად, დაფინანსება, ადამიანური რესურსები, ინფრასტრუქტურა);
- სწავლა-სწავლების პროცესის განზომილება აღწერს სწავლა-სწავლების პროცესის ძირითად მდგენელებს და მნიშვნელოვან ორგანიზაციულ პროცესებს სკოლაში (მაგალითად, სკოლაში მასწავლებლის რესურსის მართვა, სასწავლო გეგმის განხორციელება, სასწავლო რესურსების განვითარება, სკოლის ორგანიზაციული მიზნების მიღწევის მაჩვენებლები);

---

[4] Scheerens, J. (1990). School Effectiveness and the Development of Process Indicators of School Functioning. School Effectiveness and School Improvement, 1, 61-80. doi: 10.1080/0924345900010106;
Scheerens, J. (2015). School Effectiveness Research. International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences, 21, 80-85. doi: 10.1016/B978-0-08-097086-8.92080-4

[5] OECD (2021), Education at a Glance 2021: OECD Indicators, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/b35a14e5-en.
Rogers, Halsey; Demas, Angela.
The what, why, and how of the Systems Approach for Better Education Results (SABER) (English). Systems Approach for Better Education Results (SABER) Washington, D.C. : World Bank Group.
http://documents.worldbank.org/curated/en/867151468180272110/The-what-why-and-how-of-the-Systems-Approach-for-Better-Education-Results-SABER
OnlineUNESCO, E. F. A. “Global Monitoring Report,(2005), Education for All: The Quality Imperative.”

- ზოგადი განათლების სისტემის შედეგების განზომილება აღწერს მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებს, ჩართულობას და ტრანზიციას განათლების მომდევნო საფეხურებზე ან შრომის ბაზარზე. ასევე, ამ განზომილების ფარგლებში, აღიწერება მოსწავლეებისა და მასწავლებლის კეთილდღეობის აღქმის მაჩვენებლები - უსაფრთხოების განცდა; სკოლისადმი მიკუთვნებულობა; ფიზიკური და ფსიქო-ემოციური ჯანმრთელობის აღქმა, სწავლისა და შრომის პირობებით კმაყოფილება.

5 ზოგადი განათლების სახელმწიფო ინდიკატორების ჩამონათვალი

იხ. დანართი 1

6 ჩართული პირები

სამუშაო ჯგუფის წევრები:	
ირინა ხანთაძე	განათლების კოალიციის გამგეობის თავმჯდომარე
გიორგი ჭანტურია	განათლების კოალიციის დირექტორი
მერი ქადაგიძე	განათლების კვლევების კოორდინატორი
რევაზ აფხაზავა	პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი
თამარ ბრეგვაძე	განათლების მკვლევარი
სიმონ ჯანაშია	განათლების მკვლევარი

ექსპერტთა პანელის წევრები		
1	**კახა ერაძე**	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
2	**ლაშა ზივზივაძე**	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
3	**მარიამ ჩიქობავა**	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
4	**სოფო ლობჟანიძე**	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
5	**ნათია ანდღულაძე**	განათლების მკვლევარი
6	**მანანა რატიანი**	USAID საბაზისო პროგრამა/დამოუკიდებელი ექსპერტი
7	**პაატა პაპავა**	USAID საბაზისო პროგრამა/დამოუკიდებელი ექსპერტი
8	**შალვა ტაბატაძე**	საზოგადოებრივი ორგანიზაცია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი
9	**მეგი კავთუაშვილი**	საზოგადოებრივი ორგანიზაცია მშობლები განათლებისათვის
10	**მარიანა ხუნძაყიშვილი**	გაეროს ბავშვთა ფონდი, UNICEF
11	**თორნიკე შევარდნაძე**	განათლების მკვლევარი
12	**გიორგი მელიქაძე**	განათლების მკვლევარი
13	**გიორგი არზიანი**	განათლების მკვლევარი
14	**ბაკურ ხიჯაკაძე**	მასწავლებელი

დანართი 1

№	შეფასების დონე	ინდიკატორი	ხარჯთ-ეფექტურობა	კეთილდღეობა	თანასწორობა	დემოკრატიულობა	განვითარებადობა
1	ზოგადი განათლების პოლიტიკა, რესურსები და წინაპირობები	**სასკოლო მზაობის მაჩვენებელი:** ორგანიზებულ სასწავლო პროცესში ბავშვების მონაწილეობის მაჩვენებელი, ერთი წლით ადრე სკოლაში სწავლების დაწყების ოფიციალურ ასაკამდე: ა) სქესის მიხედვით; ბ) სოციალური და-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით; გ) ადგილმდებარეობის მიხედვით დ) სწავლების ენის მიხედვით; ე) სკოლამდელი დაწესებულების ტიპის მიხედვით; ვ) მოქალაქეობის მიხედვით.		1	1		
2	ზოგადი განათლების პოლიტიკა, რესურსები და წინაპირობები	**სკოლაში ჩარიცხვის მაჩვენებელი** (Net/Gross enrolment rate) ა) სქესის მიხედვით; ბ) სკოლის ტიპის მიხედვით; გ) კლასების მიხედვით; დ) სწავლების საფეხურის მიხედვით; ე) სწავლების ენის მიხედვით; ვ) ადგილმდებარეობის მიხედვით; ზ) სოციო-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით; თ) სსსმ სტატუსის მიხედვით.		1	1		
3	ზოგადი განათლების პოლიტიკა, რესურსები და წინაპირობები	**ზოგადი განათლების სახელმწიფო დაფინანსების მოცულობა:** I) წილი მშპ-თან მიმართებით; II) წილი სახელმწიფო ბიუჯეტში; III) წილი განათლების ბიუჯეტში.	1				1
4	ზოგადი განათლების პოლიტიკა, რესურსები და წინაპირობები	**სახელმწიფოს დანახარჯები ერთ მოსწავლეზე** ა) სკოლის ტიპის მიხედვით; ბ) განათლების საფეხურის მიხედვით; გ) ადგილმდებარეობის მიხედვით; დ) სოციალურ-ეკონომიკური და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით; ე) სწავლების ენის მიხედვით; ვ) მოქალაქეობის მიხედვით.	1		1		
5	ზოგადი განათლების პოლიტიკა, რესურსები და წინაპირობები	**შინამეურნეობის დანახარჯები ზოგად განათლებაზე:** I) შინამეურნეობის მთლიან ხარჯებთან მიმართებით; II) მშპ-თან მიმართებით; III) სახელმწიფო დანახარჯებთან მიმართებით.	1	1	1		
6	ზოგადი განათლების პოლიტიკა, რესურსები და წინაპირობები	**შინამეურნეობის დანახარჯები ერთ მოსწავლეზე:** ა) განათლების საფეხურის მიხედვით; ბ)სკოლის ტიპის მიხედვით; გ) ადგილმდებარეობის მიხედვით; დ) დანახარჯების ტიპების მიხედვით; ე) სწავლების ენის მიხედვით; ვ) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით; ზ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით; თ) მოქალაქეობის მიხედვით.	1	1	1		
7	ზოგადი განათლების პოლიტიკა, რესურსები და წინაპირობები	**მასწავლებლებზე მოთხოვნა-მიწოდების მაჩვენებელი** ა) საგნის; ბ) სკოლის ტიპის მიხედვით; გ) ადგილმდებარეობის მიხედვით.		1			
8	ზოგადი განათლების პოლიტიკა, რესურსები და წინაპირობები	**მასწავლებლის საბაზო და საშუალო ანაზღაურება:** I) საჯარო სექტორში დასაქმებულების საშუალო ხელფასთან მიმართებით; II) კერძო სექტორში დასაქმებულების საშუალო ხელფასთან მიმართებით; ა) მასწავლებლის სტატუსის მიხედვით; ბ) სტაჟის მიხედვით; გ) სკოლის ტიპის მიხედვით; გ) ადგილმდებარეობის მიხედვით.	1	1			1
9	ზოგადი განათლების პოლიტიკა, რესურსები და წინაპირობები	**დირექტორის საბაზო და საშუალო ანაზღაურება:** I) საჯარო სექტორში დასაქმებულების საშუალო ხელფასთან მიმართებით; II)კერძო სექტორში დასაქმებულების საშუალო ხელფასთან მიმართებით; ა) სტაჟის მიხედვით; ბ) სკოლის ტიპის მიხედვით; გ) ადგილმდებარეობის მიხედვით.	1	1	1		1
10	ზოგადი განათლების პოლიტიკა, რესურსები და წინაპირობები	**სკოლის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სპეციალური მასწავლებლებისა და სხვა სპეციალისტების საშუალო ანაზღაურება:** I) საჯარო სექტორში დასაქმებულების საშუალო ხელფასთან მიმართებით; II)კერძო სექტორში დასაქმებულების საშუალო ხელფასთან მიმართებით; ბ) სკოლის ტიპის მიხედვით; გ)ადგილმდებარეობის მიხედვით.					

11	ზოგადი განათლების პოლიტიკა, რესურსები და წინაპირობები	**სკოლების შესაბამისობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების:** I) ინფრასტრუქტურის სტანდარტთან; II) საგანმანათლებლო სივრცის მოწყობის სტანდართან; III) სანიტარიისა და ჰიგიენის სტანდარტთან. ა) ადგილმდებარეობის მიხედვით; ბ) სკოლის ტიპის მიხედვით.	1		1		
12	ზოგადი განათლების პოლიტიკა, რესურსები და წინაპირობები	**სკოლებში ინტერნეტზე წვდომის მაჩვენებელი** ა) ადგილმდებარეობის მიხედვით; ბ) სკოლის ტიპის მიხედვით; გ) ინტერნეტის სიჩქარის მიხედვით.	1		1		
13	ზოგადი განათლების პოლიტიკა, რესურსები და წინაპირობები	**ხარისხიან/ფუნქციურ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომის მაჩვენებელი:** I) სახლში; II) საგანმანათლებლო დაწესებულებაში; III) მოსწავლისა და მასწავლებლებისთვის. ა) ასაკის მიხედვით; ბ) სქესის მიხედვით; გ) ადგილმდებარეობის მიხედვით; დ)სკოლის ტიპის მიხედვით; ე) სწავლების საფეხურის მიხედვით; ვ) სწავლების ენის მიხედვით; ზ) მოქალაქეობის მიხედვით.	1		1		
14	სკოლის მართვა და სასწავლო-პროცესის ორგანიზება	**სკოლის ავტონომიურობის ინდექსი:** I) ორგანიზაციული განვითარება; II) აკადემიური თავისუფლება; III) პერსონალის მართვა.				1	1
15	სკოლის მართვა და სასწავლო-პროცესის ორგანიზება	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ბიუჯეტის მართვის მაჩვენებელი:** I) შემოსავლის წყაროების მიხედვით; II) ხარჯების ტიპების მიხედვით; III) ბიუჯეტის ათვისების მიხედვით. ა) სკოლის ტიპის მიხედვით; ბ) ადგილმდებარეობის მიხედვით; გ) სკოლის ზომის მიხედვით; დ) სწავლების ენის მიხედვით.	1			1	1
16	სკოლის მართვა და სასწავლო-პროცესის ორგანიზება	**სკოლის განვითარების ინდექსი:** I) სასკოლო კურიკულუმის განვითარება; II) მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები; III) თანამშრომლობა თემთან და საგანმანათლებლო საზოგადოებასთან; საგანმანათლებლო რესურსების შექმნა, მოზიდვა და განვითარება; IV) სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; V) სკოლის მართვის ავტონომიურობა, დემოკრატიულობა, გამჭვირვალობა.				1	1
17	სკოლის მართვა და სასწავლო-პროცესის ორგანიზება	**მოსწავლეების განაწილების მაჩვენებელი** ა) სწავლების საფეხურის მიხედვით; გ) სკოლის მდებარეობის მიხედვით; დ) სკოლის ტიპის მიხედვით.	1		1		
18	სკოლის მართვა და სასწავლო-პროცესის ორგანიზება	**მოსწავლეების დასწრების მაჩვენებელი** ა) სქესის მიხედვით; ბ) კლასის მიხედვით; გ) სწავლების საფეხურის მიხედვით; დ) სწავლების ენის მიხედვით; ე) ადგილმდებარეობის მიხედვით; ვ) სოციალურად დაუცველის სტატუსის მიხედვით; ზ) სსსმ სტატუსის მიხედვით; თ) მოქალაქეობის მიხედვით.			1		
19	სკოლის მართვა და სასწავლო-პროცესის ორგანიზება	**მოსწავლე მასწავლებლის შეფარდების მაჩვენებელი** ა) სკოლის ტიპის მიხედვით; ბ) განათლების საფეხურის მიხედვით; გ) საგნის მიხედვით; დ) ადგილმდებარეობის მიხედვით; ე) სტატუსის მიხედვით	1				
20	სკოლის მართვა და სასწავლო-პროცესის ორგანიზება	**მასწავლებლების სამუშაო დატვირთულობის მაჩვენებელი:** I) სწავლებაზე დახარჯული საათები; II) სხვა ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულებაზე დახარჯული საათები. ა) სქესის მიხედვით; ბ) ასაკის მიხედვით; გ) პროფესიული სტატუსის მიხედვით; დ) სტაჟის მიხედვით; ე) საგნის მიხედვით; ვ) სწავლების საფეხურის მიხედვით; ზ) ადგილმდებარეობის მიხედვით; თ) სკოლის ტიპის მიხედვით.	1	1			
21	სკოლის მართვა და სასწავლო-პროცესის ორგანიზება	**მასწავლებლების განაწილება კვალიფიკაციის/პროფესიული სტატუსების მიხედვით;** ა) სქესის მიხედვით; ბ) ასაკის მიხედვით; გ) პროფესიული სტატუსის მიხედვით; დ) სტაჟის მიხედვით; ე) საგნის მიხედვით; ვ) სწავლების საფეხურის მიხედვით; ზ) ადგილმდებარეობის მიხედვით; თ) სკოლის ტიპის მიხედვით.					
22	სკოლის მართვა და სასწავლო-პროცესის ორგანიზება	**სპეციალური მასწავლებლების და სხვა სპეციალისტების მისაწვდომობის მაჩვენებელი:** I) მოსწავლეების საერთო რაოდენობასთან მიმართებით; II) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების რაოდენობასთან მიმართებით; ა) სკოლის ტიპის მიხედვით; ბ) სწავლების საფეხურის მიხედვით; გ) ადგილმდებარეობის მიხედვით; დ) სწავლების ენის მიხედვით.			1		
23	ზოგადი განათლების სისტემის შედეგები	**სწავლის დასრულების მაჩვენებელი** ა) ასაკის მიხედვით; ბ) სქესის მიხედვით; გ) სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით; დ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით ე) მოქალაქეობის მიხედვით; ვ) სკოლის ტიპის მიხედვით; მიხედვით; ზ) საფეხურის მიხედვით; თ) სწავლების ენის მიხედვით; ე) ადგილმდებარეობის მიხედვით;			1		

24	ზოგადი განათლების სისტემის შედეგები	**სწავლის მიტოვების მაჩვენებელი** ა) ასაკის მიხედვით; ბ) სქესის მიხედვით; გ) სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით; დ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით; ე) მოქალაქეობის მიხედვით; ვ) სკოლის ტიპის მიხედვით; ზ) საფეხურის მიხედვით; თ) სწავლების ენის მიხედვით; ე) ადგილმდებარეობის მიხედვით.			1		
25	ზოგადი განათლების სისტემის შედეგები	**მოსწავლეთა განაწილება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის მაჩვენებლის მიხედვით:** ა) ასაკის მიხედვით; ბ) სქესის მიხედვით; გ) სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით; დ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით; ე) მოქალაქეობის მიხედვით; ვ) სკოლის ტიპის მიხედვით; ზ) საფეხურის მიხედვით; თ) სწავლების ენის მიხედვით; ი) ადგილმდებარეობის მიხედვით;			1		
26	ზოგადი განათლების სისტემის შედეგები	**მოსწავლეთა მიღწევების მაჩვენებლები საერთაშორისო ნიშნულებთან მიმართებით** ა) ასაკის მიხედვით; ბ) სქესის მიხედვით; გ) სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით; დ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით; ე) მოქალაქეობის მიხედვით; ვ) სკოლის ტიპის მიხედვით; ზ) საფეხურის მიხედვით; თ) სწავლების ენის მიხედვით; ი) ადგილმდებარეობის მიხედვით;			1		
27	ზოგადი განათლების სისტემის შედეგები	**სკოლის შემდგომი სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი:** I) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე; II) უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე; III) საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებზე. ა) ასაკის მიხედვით; ბ) სქესის მიხედვით; გ) სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით; დ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით; ე) მოქალაქეობის მიხედვით; ვ) სკოლის ტიპის მიხედვით; ზ) საფეხურის მიხედვით; თ) სწავლების ენის მიხედვით; ი) ადგილმდებარეობის მიხედვით;			1		
28	ზოგადი განათლების სისტემის შედეგები	**მოსწავლეების კეთილდღეობის ინდექსი:** I) უსაფრთხოების განცდა; II) სკოლისადმი მიკუთვნებულობა; III) ცხოვრებით კმაყოფილება; IV) ფიზიკური და ფსიქო-ემოციური ჯანმრთელობის აღქმა; ა) ასაკის მიხედვით; ბ) სქესის მიხედვით; გ) სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით; დ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით; ე) მოქალაქეობის მიხედვით; ვ) სკოლის ტიპის მიხედვით; ზ) საფეხურის მიხედვით; თ) სწავლების ენის მიხედვით; ი) ადგილმდებარეობის მიხედვით;		1	1		
29	ზოგადი განათლების სისტემის შედეგები	**მასწავლებლების კეთილდღეობის ინდექსი:** I) უსაფრთხოების განცდა; II) სკოლისადმი მიკუთვნებულობა; III) ცხოვრებით კმაყოფილება; IV) ფიზიკური და ფსიქო-ემოციური ჯანმრთელობის აღქმა; V) შრომის ანაზღაურება და პირობები. ა) სქესის მიხედვით; ბ) ასაკის მიხედვით; გ) სტაჟის მიხედვით; დ) ბ) საგნის მიხედვით; გ)ადგილმდებარეობის მიხედვით; დ) სკოლის ტიპის მიხედვით; ე) სტაჟის მიხედვით.		1	1		